PDF Eraser Free

დანართი №3

შპს სიო-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრი:

ხათუნა მაისაია

(ქალაქი, წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

PDF Eraser Free

დაწესებულების სახელწოდება: **შპს სიო**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული შესაძლებლობების საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის №462133 (MES 020 00462133) ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე
2. ხათუნა მაისაია - წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს სიო-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით, მისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რისთვისაც 2020 წლის 22 და 23 ივნისს განახორციელა ვიზიტი შპს სიოში, მისამართზე ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ.

ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგამნამათლებლო პროგრამის განხორციელებისთის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობა, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების პირადი საქმეები, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულება. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა შპს სიოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენლებს.

ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზებულია 2017 წლის 28 აპრილის № 8 გადაწყვეტილებით. ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე მოდიფიცირებული პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №3-15, 20.06.2019 წ.

2017 წლის შემდგომ ვიზიტი დაწესებულებაში არ განხორციელებულა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

სასურველია სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება ახლადშემუშავებული სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის მოთხოვნების შესაბამისად და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, ასევე შეფასების პროცესი და შემდგომ ვერიფიკაციის პროცესიც აღნიშნული წესების დაცვით განხორციელდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის ბრძანება №3-02, 19.02. 2020წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად	14 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქ. ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა	126
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	140 პროფესიული სტუდენტი, მოდულური, ქ, ქუთაისი, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.; 3.; 4. შპს სიო-ს მისიაა შიდა და გარე ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება მედიცინის მიმართულებით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა, კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება. **კოლეჯის ხედვაა:** გახდეს მედიცინის მიმართულებით პროფესიული განათლების სფეროში ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება რეგიონში, რომელსაც ექნება მაღალი ნდობა და აღიარება, როგორც ადგილობრივ, ისე - საერთაშორისო დონეზე. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ შპს სიო წლების მანძილზე წარმატებით ახორციელებდა ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებს, როგორებიცაა: ექთნის თანაშემწე (საგნობრივი), პრაქტიკოსი ექთანი (საგნობრივი/მოდულური) და პროფილით დასაქმების მაჩვენებელი კურსდამთავრებულებში ყოველთვის მაღალი იყო. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული იყო 14 პროფესიული სტუდენტით. რეგიონში გაიხსნა ახალი ან გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებები და ბევრ საავადმყოფოში, განსაკუთრებით იმ სამედიცინო რგოლებში, სადაც ექთნების დიდი რაოდენობაა საჭირო, საკადრო დეფიციტია, ამის გამო ექთნების დატვირთვა მაღალია და შესაბამისად კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა დიდია, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობის გაზრდის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება დაწესებულების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და ასევე გამომდინარეობს პსდ-ს მისიიდან და სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (ჯანდაცვის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მათზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდა დაწესებულების სტრატეგიულ გეგმასა და 2020 წლის სამოქმედო გეგმაშია გაწერილი). საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიითაა განსაზღვრული. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი და ასევე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად შერჩეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ორგანიზაციების მიმართულება, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა** -

სრული ზოგადი განათლება, შესაბამისად განსაზღვრულია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

მისანიჭებელი კვალიფიკაციაა:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing;

კვალიფიკაციის კოდი - 0913

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი,ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

პროგრამის საექთნო საქმე მოცულობა კრედიტებში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 180 კრედიტს (მათ შორის: ზოგადი მოდულები - 9 კრ.; თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრ.; თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45კრ.; თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრ.; პრაქტიკული სწავლება - 6 კრ.; კლინიკური სწავლება - 90 კრ.), ხოლო ხანგრძლივობა - 122 სასწავლო კვირაა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის მოცულობა - 210 კრედიტია, ხანგრძლივობა - 142 სასწავლო კვირა.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი **არჩევითი მოდულები**.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება შპს სიოს დებულების (ბრძანება№3-07, 20.05.2020წ.) მიხედვით შპს სიოს დირექტორის პრეროგატივაა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ დამტკიცებულია ცვლილებებით დაწესებულების უფლებამოსილი პირის - შპს სიოს დირექტორის მიერ (№3-02, 19.02.2020წ.).

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „საექთნო საქმე“, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული სპეციალიზაციის სახელწოდების იდენტურია და ამიტომ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 09109-პ) „საექთნო განათლება/ Nursing“ საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.;
- დაწესებულების მისია;
- შპს სიოს გრძელვადიანი 2020-2027წწ (შვიდწლიანი) სტრატეგული გეგმა, დირექტორის ბრძანება №3-10, 29.05.2020წ.;
- შპს სიოს დაწესებულების2020-2021წწ სამოქმედო გეგმა, დირექტორის ბრძანება №3-10, 29.05.2020წ.;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“, დირექტორის ბრძანება №3-02, 19.02.2020წ.;
- შპს სიო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება№3-07, 20.05.2020წ.;
- შპს სიოს დებულება დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული **ზოგადი და თეორიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების** მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ:

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №1 - 20 სტუდენტზე. №1- სასწავლო აუდიტორია მდებარეობს ქ. ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ, შენობის პირველ სართულზე, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის და სასწავლო პლაკატებით.

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №2 - 20 სტუდენტზე. №2 - სასწავლო აუდიტორია მდებარეობს მდებარეობს ქ. ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ, შენობის პირველ სართულზე, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის და სასწავლო პლაკატებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Erase Free

A გარემო-სასწავლო აუდიტორია №3 - 20 სტუდენტზე. №3 - სასწავლო აუდიტორია მდებარეობს ქ. ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ, შენობის პირველ სართულზე, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, ასევე სასწავლო პლაკატებით და მულაჟებით.

B გარემო -კომპიუტერული კლასი №4 - 10 სტუდენტზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ, შენობის პირველ სართულზე და სრულადაა აღჭურვილი მოდულის **„საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“** განსახორციელებლად.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მოდულის **„საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“** განხორციელება მოხდება ეტაპობრივად 10-10 კაციანი ჯგუფებით, ვინაიდან მოდულს არ აქვს წინაპირობა და არც თავად არის რომელიმე მოდულის წინაპირობა.

*დაწესებულება გეგმავს აღნიშნულ სივრცეში მოდულის **„საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“** განხორციელების პარალელურად, მისი როგორც A გარემო-სასწავლო აუდიტორიად გამოყენებას, 10 პროფესიულ სტუდენტზე. რასაც ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება. (დამატებით განმარტება იხ. ქვემოთ)*

C გარემო - აუდიტორია №5 - 20 სტუდენტზე. №5 - სასწავლო - პრაქტიკული აუდიტორია თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის მდებარეობს ქ. ქუთაისში, გალაქტიონ ტაბიძის №72/დ, შენობის პირველ სართულზე, რომელიც აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით (მაგიდა/სკამი) პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი) დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის და ასევე პრაქტიკული მოდულების (შინმოვლა და ავადმყოფის მოვლა) განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობით. თუმცა, აღნიშნული მოდულების განხორციელება პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებში იგეგმება, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. **შპს "თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი" 20.05.2019 წელი. მოქმედების ვადა 6 წელი, შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ეტაპობრივად, სასწავლო გეგმით გაწერილი მოდულების დაწყების და დამთავრების გრაფიკის შესაბამისად ჯამურად მიიღოს <u>80 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები:**

1) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
2) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
4) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
6) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
8) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;
10) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;
11) ავადმყოფის მოვლა;
12) შინმოვლა.

2. **შპს "მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი " 20.05.2019 წელი. მოქმედების ვადა 6 წელი, შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ეტაპობრივად სასწავლო გეგმით გაწერილი მოდულების დაწყების და დამთავრების გრაფიკის შესაბამისად ჯამურადმიიღოს <u>80 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები:**

1) ავადმყოფის მოვლა;
2) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

3) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
6) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
8) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
10) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;
11) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;
12) შინმოვლა.

3. შპს "კლინიკა ბომონდი" 07.10.2019წელი. მოქმედების ვადა 6 წელი, შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ეტაპობრივად სასწავლო გეგმით გაწერილი მოდულების დაწყების და დამთავრების გრაფიკის შესაბამისად, ჯამურად მიიღოს <u>80 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1) ავადმყოფის მოვლა;
2) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
6) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

8) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
10) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;
11) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;
12) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
13) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
14) შინმოვლა.

4. შპს "აკად. ზ ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი" 07.10.2019 წელი. მოქმედების ვადა 6 წელი, შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ეტაპობრივად სასწავლო გეგმით გაწერილი მოდულების დაწყების და დამთავრების გრაფიკის შესაბამისად ჯამურად მიიღოს <u>60 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები:

1) ავადმყოფის მოვლა;
2) კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
3) შემაჯამებელი პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4) კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
5) შემაჯამებელი პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
6) კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
7) შემაჯამებელი პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
8) კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
9) შემაჯამებელი პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
10) კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

11) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;
12) კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
13) შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
14) შინმოვლა.

5. **შპს "ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" 07.10.2019 წელი. მოქმედების ვადა 6 წელი, შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას ეტაპობრივად სასწავლო გეგმით გაწერილი მოდულების დაწყების და დამთავრების გრაფიკის შესაბამისად ჯამურად მიიღოს <u>80 პროფესიული სტუდენტი.</u> კლინიკის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები:**

1) კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
2) ფსიქიატრია და შემაჯამაებელი პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

თითოეულ ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N5 სადაც გაწერილია ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დამატებითი მოთხოვნები, ანგარიშგების/ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება. ჩაწერილია დამატებითი მოთხოვნა - კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა არის 1/7 , გარდა ამისა ასახულია პირადი დაცვის საშუალებებით პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფა. კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი ექთნების შერჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის გათვლისწინებით, ხელშეკრულების თანახმად, პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების მოვალეობაა, თუმცა როგორც ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, კოლეჯი იტოვებს უფლებას, თუ შერჩეული კანდიდატი სრულად არ აკმაყოფილებს უცხო ენის და საოფისე პროგრამების ცოდნის დონეს, გადაამზადოს ისინი და მერე გაუფორმოს ხელშეკრულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ვიზიტის ფარგლებში შერჩევითი წესით, მოხდა პრაქტიკის ობიექტის - შპს "მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი" დათვალიერება და საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება, რომლის მხრიდან გამოითქვა სრული მზაობა ითანამშრომლონ კოლეჯთან ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

2.; 3. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობაა 18, მათ შორის დარგობრივი - 14 და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 4 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა დატვირთვა ნორმის ფარგლებშია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ამავე დროს პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო საქმე" ჰყავს, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე, პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც პროგრამის შემუშავების პროცესში განისაზღვრა ხელმძღვანელად, თუმცა დირექტორის ბრძანებით ის დანიშნული არ ყოფილა. ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ *სასურველია პროგრამის ხელმძღვანელი უფლებამოსილი პირის მიერ იყოს დანიშნული და ასევე ის ფუნქცია - მოვალეობები, რომელსაც ასრულებს პროგრამის ხელმძღვანელი, გაიწეროს კოლეჯის დებულებაში.* დაწესებულებამ გაითვლისწინა **აღნიშნული რეკომენდაცია** და ვიზიტის პერიოდში კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დაინიშნა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და დებულებას დაემატა მუხლი 15[1], სადაც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობა (დირექტორის ბრძანება№3-19,22.06.2020წ. დასკვნას თან ერთვის). ფუნქცია - მოვალეობების მიხედვით პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია: იყოს ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში და გაუწიოს კოორდინირება; მოახდინოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა საქმიანობის ორგანიზება; გაუწიოს დახმარება სასწავლო გეგმების /ინდ. გეგმების შედგენაში; მუდმივად იზრუნოს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის განვითარებაზე; იყოს ჩართული მონიტორინგის პროცესში სასწავლო კურსის პროგრამების - მოდულების კალენდარული გეგმების/ შეფასების ინსტუმენტების დროს; მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განახორციელოს სასწავლო პროცესში მიცემული სხვა შესაბამისი დავალება.

დაწესებულების დირექტორის ბრძანება №3-12, 01.06.2020წ. „შპს სიოს „საექთნო საქმის" პროგრამის ფარგლებში კონტიგენტის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" განსაზღვრულია კონტიგენტი საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

*„საქართველო საქმე“ და პროგრამის ბიუჯეტი. აღნიშნულ დოკუმენტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საქართველო საქმე“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 140 პროფესიულ სტუდენტს, რომელთა მიღება პროგრამის ხანგრძლივობის ვადაში (სამი წელი) იგეგმება ორჯერ 70 პროფესიული სტუდენტი ერთ მიღებაზე და წელიწადნახევარში კიდევ 70 სტუდენტის მიღება. ერთდროულად მისაღებ 70 სტუდენტის სასწავლო გარემოდ გათვალისწინებულია სამი A გარემო, 20-20 სტუდენტზე (ჯამში 60 სტუდენტი) გათვლილი და ერთი B გარემო 10 სტუდენტზე, რომელშიც 70 სტუდენტისთვის მოდულის **„საინფორმაციო ტექნოლოგიები - საქართველო საქმეში“** ეტაპობრივად 10-10 კაციანი ჯგუფებით განხორციელების პარალელურად, ამავე დროს, მისი გამოყენება 70-დან დარჩენილი 10 სტუდენტისთვის A გარემოდ. აღნიშნული ფორმით კონტიგენტის მიღება ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია შეუძლებლად, ვინაიდან B გარემოს დატვირთვასთან ერთად, მისი A გარემოდ გამოყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების თვალსაზრისითაც პრობლემურია და ამავე დროს კომპიუტერულ კლასში სტუდენტის სამუშაო ადგილების ორგანიზება მოუხერხებელი იქნება A გარემოდ მისი გამოყენების შემთხვევაში. ასევე უნდა აღინიშნოს რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამაზე „საქართველო საქმე“ ირიცხება 14 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც ასევე გააგრძელებენ სწავლას და შესაბამისი სივრცე მათთვისაც გასათვალისწინებელია.*

ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად და კოლეჯის სასწავლო გარემოების გამტარუნარინობის გათვალისწინებით, შეჯერდა კონტიგენტის განსაზღვრის შემდეგ ვარიანტზე: **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 პროფესიული სტუდენტით, რომელშიც მოიაზრება ავტორიზაციის დროს უკვე მიღებული 14 პროფესიული სტუდენტის უფლებას დამატებული 106 ახალი პროფესიული სტუდენტი, რაც ჯამურად მოგვცემს 120 პროფესიულ სტუდენტს.** აღნიშნული ზღვრული ოდენობის წლების მიხედვით გადანაწილების, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებული, ვარიანტია - **40-40 პროფესიული სტუდენტის ყოველწლიურად მიღება სამი წლის მანძილზე.**

5.; 6. ვიზიტის დროს მოხდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის გადამოწმება, როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და დადგინდა, რომ შესაძლებელია მათი გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ამიტომ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს გადაამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დათვლილია ერთ ჯგუფზე (20 პროფესიული სტუდენტი) სწავლების სამ წელზე. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ითვალისწინებს 20 პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასურს სამ წელზე გათვლილს, ხოლო ხარჯვით ნაწილში მოცემულია ისეთი მუხლები, როგორიცაა მასწავლებლის ხელფასები, ადმინისტრაციული ხარჯი, მასალა - ნედლეულის შეძენის, კომუნალური გადასახადების, იჯარის ხარჯებს და ცხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს სიოს „საექთნო საქმის“ პროგრამის ფარგლებში კონტიგენტის განსაზღვრის და პროგრამის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, დირექტორის ბრძანება№3-12, 01.06.2020წ.;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განნმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- შპს სიო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დირექტორის ბრძანება№3/6, 16.01.2017წ.;
- შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.
- ინტერვიუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებლებთან;
- ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს სიოს შემუშვებული აქვს (დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მეოთხე მუხლი ეხება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას, შეცვლასა და გაუქმებას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ეტაპებია: ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა; ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია საზოგადოებრივ კოლეჯ შპს „სიოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოდგენს და რომლის მიზანია: 1. შექმნას დაწესებულების ერთიანი პოლიტიკა, სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, საგანმანათლებლო და თანმდევი პროცესების დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას; 2. ეფექტიანი შიდა ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
სისტემის შექმნა და მუდმივი გაუმჯობესება, გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზება და გარე შეფასების ხელშეწყობა.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.
შიდა შეფასება -კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება და მიღებული შედეგების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, ხოლო გარე შეფასება - ავტორიზაციისა პროცესში მიღებული შეფასებების (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი); ასევე, შეფასების მიზნით მოწვეული ექსპერტების შეფასებები და შეფასების შედეგებზე რეაგირებაა მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს: საგანამათლებლო საქმიანობისა და რესურსების შეფასების პროცესების/წესების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს პროცესში ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობას, მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებას. ადამიანური, საინფორმაციო, ფინანსური და მატერიალური რესურსების შეფასებას და მუდმივ გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემუშავებას.
ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შპს სიოს შემუშავებული აქვს კითხვარები ადმინისტრაციის, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსქმებლებისათვის.
<u>ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ხარისხის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელს და ვერ გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული საქმიანობის მასალებს, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ სწავლა დაიწყო 2019 წლის შემოდგომაზე, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი დოკუმენტები (როგორც ადრინდელი, ასევე 2020 წლის 20 მაისს დამტკიცებული) გამოკითხვების ჩატარებას ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ, ამიტომ ჯერჯერობით გამოკითხვები არ ჩატარებულა და შესაბამისად არც კვლევის შედეგების ანალიზი არ მომხდარა.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.
- შპს სიოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.
- ინტერვიუ ხარისხის განვითარების სამსახურის მენეჯერთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.; 2. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ 2019 წლის შემოდგომაზე ჩარიცხული 14 პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, მეცადინეობების განრიგის შესაბამისად მიმდინარეობდა. დასრულდა როგორც ზოგადი, ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ხუთი მოდული და უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მიმდინარეობდა, რაც გამოიხატებოდა მათთვის მოქნილი და მოსახერხებელი მეცადინეობების დროის შერჩევით, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების ადმინისტრაციაში რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

3.; 4. ინტერვიუს დროს, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში გაწერილი სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობდა. რაც შეეხება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, აღინიშნა, რომ ამჟამად პროგრამაზე არ სწავლობს არცერთი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტი. ხოლო, რაც შეეხება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას, იგი გაწერილია შპს სიოს დებულებაში (მუხლი24.).

5. დაწვრილებითი ინფორმაცია პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაციების, მათთან გაფორმებული მემორანდუმების და ხელშეკრულებების შესახებ იხილეთ 2.2.1-ში.

6. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ვიზიტის პერიოდში კოლეჯის მხრიდან დაცული იყო ყველა ის მოთხოვნები და პირობები, რასაც სოციალური დისტანცირება ითვალისწინებს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის ვალდებულება გაწერილია პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“, დირექტორის ბრძანება №3-02, 19.02.2020წ.;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განნმახორციელებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შპს სიოს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია, დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.;
- შპს სიო ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმები, დირექტორის ბრძანება №3-13, 01.06.2020წ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს სიოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია (ბრძ.№3-07, 20.05.2020წ.) შპს სიოს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, მოიცავს შეფასების ინსტრუქციას, რაც გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურებს, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ინსტრუმენტების ვალიდაციას. *თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული წესის შესაბამისად ჯერჯერობით სასწავლო პროცესი არ წარმართულა, საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ ჩარიცხვა 2019 წლის შემოდგომაზე განცორციელდა და ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიური მდგომარეობის გამო, სასწავლო პროცესი შეწყდა ისე, რომ მოხდა რამოდენიმე ზოგადი მოდულის დასრულება. დასრულებულ მოდულებზე გამოყენებული შეფასების სისტემა ადრე მოქმედი რეგულაციის შესაბამისი იყო.*

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ასევე ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, ხოლო თავად შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს სისტემებისა და პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფას შემდეგი გზით: შემფასებლების (მასწავლებლების) მხარდაჭერა და დახმარება უწყვეტი გაუმჯობესებისათვის; შეფასების მონიტორინგი რათა უზრუნველყოს, რომ შეფასება და რეგისტრაციის პროცედურები არის დაცული, თანმიმდევრული და სამართლიანი; მტკიცებულების შერჩევა, რათა მოახდინოს შეფასების გადაწყვეტილებების ვალიდაცია; იმის უზრუნველყოფა, რომ მტკიცებულებები (რომელთა საფუძველზე გადაწყვეტილებები მიიღება) ვალიდურია, საკმარისი, მიმდინარე, თანმიმდევრული და ავთენტური; იმის უზრუნველყოფა, რომ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები ხელმისაწვდომია როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის გასაანალიზებლად, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე) პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის.

3. შპს სიოს დირექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძ.№3-07, 20.05.2020წ.) შპს სიოს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი და შეფასების ინსტრუქცია ასევე ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
შეფასების ინსტრუქციის მიხედვით: შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებულებას, რომელიც უნდა იყოს ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი. შეფასების უწყისები უვადოდ შეინახება. თუმცა შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალში და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მტკიცებულებების აღრიცხვის მიზანია მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა.
4. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ დასრულებულ მოდულებზე შეფასება ადრე არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად ჩატარდა, რომლის დროსაც დაცული იყო პროფესიული სტუდენტების უფლებები და სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული იყო მათი შემდგომი განვითარებისათვის. იმ რეგულაციების შესაბამისად, რაც ახალი წესების შემუშავებამდე იყო. პროფესიული სტუდენტების მხრიდან აპელაციის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.
თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რეგულაცია ითვალისწინებს სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები.
თუმცა, პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, რომელიც ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა, ამ ეტაპზე არა მარტო პროფესიული მასწავლებლებისთვის წარმოადგენს ახალ გამოწვევას, არამედ კოლეჯის ადმინისტრაციისთვისაც და ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ
სასურველია სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს პროფესიული მასწავლებლების გადამზადება ახლადშემუშავებული სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი წესის მოთხოვნების შესაბამისად და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში გაითვალისწინონ ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების პრინციპები, ასევე შეფასების პროცესი და შემდგომ ვერიფიკაციის პროცესიც აღნიშნული წესების დაცვით განხორციელდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს სიოს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, დირექტორის ბრძანება №3-07, 20.05.2020წ.
- სტუდენტთა შეფასების პროცესის ამსახველი მტკიცებულებები;
- ინტერვიუ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ გაზრდილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	120 (14+106) პროფესიული სტუდენტი მოდულური, ქ, ქუთაისი გალაქტიონ ტაბიძის №72/დ
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

დასაბუთება

ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ვინაიდან B გარემოს დატვირთვასთან ერთად, მისი A გარემოდ გამოყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების თვალსაზრისითაც პრობლემურია და ამავე დროს კომპიუტერულ კლასში სტუდენტის სამუშაო ადგილების ორგანიზება მოუხერხებელი იქნება A გარემოდ მისი გამოყენების შემთხვევაში, კოლეჯის სასწავლო გარემოების გამტარუნარინობის გათვალისწინებით, შეჯერდა კონტიგენტის განსაზღვრის შემდეგ ვარიანტზე: **პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 პროფესიული სტუდენტით, რომელშიც მოიაზრება ავტორიზაციის დროს უკვე მიღებული 14 პროფესიული სტუდენტის უფლებას დამატებული <u>106 ახალი პროფესიული სტუდენტი,</u> რაც ჯამურად მოგვცემს 120 პროფესიულ სტუდენტს.**

აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 126 პროფესიული სტუდენტის დამატების ნაცვლად, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას დაემატოს 106 პროფესიული სტუდენტი.

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2.1.- დირექტორის ბრძანება

დანართი 2.2. - პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები

(ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.)

09.07.2020

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---